საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 661/ი

30 07 2019წ.

ქ. თბილისი

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცესის კოორდინატორის 2019 წლის 23 ივლისის №977989 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2019 წლის 29 მარტის №227/ი ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-10 მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესი დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი გიორგი ვაშაკიძე

დანართი

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა (შემდგომში - ექსპერტი) კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესს.

მუხლი 2. აკრედიტაციის ექსპერტის საქმიანობის ანაზღაურება

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 06 მარტის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულებით" გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ექსპერტის ანაზღაურება გამოითვლება ნამუშევარი დღეების მიხედვით. სამუშაოსათვის ასანაზღაურებელი დღეების რაოდენობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. ექსპერტისთვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დღიური ანაზღაურება შეადგენს 125 ლარს (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით), ხოლო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის შემთხვევაში, ექსპერტისათვის ასანაზღაურებელ თანხას ემატება 125 ლარი (კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით).

მუხლი 3. ექსპერტის საქმიანობის ანაზღაურების პირობები

1. ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურება ხდება ამ წესის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

2. ექსპერტზე ამ წესით გათვალისწინებული ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ მისი მოვალეობის ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, შემდეგი პრინციპით: 70% - ცენტრში ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე, ხოლო 30% - შესაბამის საბჭოს სხდომაზე დასწრების/შესაბამისი საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღების საფუძველზე. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია ექსპერტმა საკითხის განხილვაში მონაწილოება მიიღოს საბჭოზე დასწრების გარეშე, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ექსპერტს შრომის ანაზღაურების 30% არ დაექვითება, თუ იგი ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი საბჭოს სხდომაზე დასწრებას/შესაბამისი საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღებას იმ საფუძვლით, რომ საბჭოს სხდომის ჩატარებამდე შეწყდა შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება.

3. ექსპერტის შრომის ანაზღაურება ხორციელდება შესაბამის საკითხთან დაკავშირებით საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ან ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
4. ექსპერტის სამივლინებო ხარჯები ანაზღაურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და შედგება ფაქტიური ხარჯის მიხედვით სადღეღამისო, მგზავრობის და ბინის დაქირავებისათვის გაწეული ხარჯებისაგან (საიდანაც ბინის დაქირავებისათვის გაწეული ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს 120 ლარს).
5. ექსპერტთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, თანხის მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე შეტანის გზით.

მუხლი 4. ინფორმაციის მიწოდება

პროგრამის აკრედიტაციის პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები ვალდებულნი არიან ამ წესით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ცენტრის მიერ ფინანსური ვალდებულებების დროული შესრულებისათვის, მიღებისთანავე წარუდგინონ ცენტრის ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს.